მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 16 მაისს გამოცემული ბრძანების N314 საფუძველზე შექმნილმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა ქეთევან ჯანელიძისა და თამარ რემიშვილის შემადგენლობით ამა წლის 24 და 25 მაისს განახორციელა ვიზიტი, 24 მაისს ქ.მარნეულში და 25 მაისს ქ.თბილისში, ცენტრში შემოსული (N350636) წერილში მოყვანილი ფაქტების გადამოწმების მიზნით. ჯგუფის საქმიანობაზე დაკვირვებას აწარმოებდა ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი ნინო სტეფანიშვილი.

ვიზიტის პირველ დღეს ექსპერტთა ჯგუფი გამოცხადდა ზემოაღნიშნულ წერილში მითითებულ მისამართზე (ქ.მარნეული, მაისის მოედანი, გოგებაშვილის ქ.2) ვიზიტის დღის წესრიგით დაგეგმილი იყო ზემოაღნიშნულ წერილში მოყვანილი ფაქტების გადამოწმება (გასაუბრებები, საჭიროების შემთხვევაში დოკუმენტების შემოწმება და ფაქტების დოკუმენტირება).

ვიზიტის დროს ზემოაღნიშნულ მისამართზე არსებულ შენობაზე საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის შესახებ ინფორმაციის შემცველი აბრა არ იყო განთავსებული(იხ. დანართი 1). დათვალიერებული იქნა შენობის პირველი და მეორე სართული. ვიზიტის დროს სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობოდა. პირველ სართულზე სასწავლო დაწესებულებისთვის მოწყობილი იყო ფართი: 2 აუდიტორია და 1 ოთახი ადმინისტრაციისთვის. ერთ-ერთ ოთახში კედელზე გაკრული იყო კრიმინალისტიკის თემატიკის თვალსაჩინოებები (იხ. დანართი 2). მეორე სართულის ოთახები იყო დანომრილი და კარებებზე გაკრული იყო აბრები (202-ინფორმაციული ტექნოლოგია; ჟურნალისტი კორესპოდენტი+ტურიზმი 207; კრიმინალისტიკა 205; მცირე ბიზნესის მწარმოებელი, ბანკის ოპერატორი ბუღალტერია 204) (იხ. დანართი 3), შენობის პირველ სართულზე ადმინისტრაციისთვის განკუთვნილ ოთახში ექსპერტები გაესაუბრნენ მოქალაქე ლეილა ნამაზოვს, რომელმაც თავი წარმოადგინა შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის საკონსულტაციო ცენტრის დირექტორად. ექსპერტები გაეცნენ საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯსა და ლეილა ნამაზოვს შორის დადებულ ხელშეკრულებას და სთხოვეს წარმოედგინა პირადობის დამადასტურებელი მოწმობაც. ხელშეკრულება ერთწლიანი მოქმედების ვადითაა განსაზღვრული და დადებულია 2017 წელს. (იხ.დანართი 4, დანართი 5)

ავტორიზაციის ექსპერტთა მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ქეთევან ჯანელიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა მონიტორინგის ჯგუფის წევრი თამარ რემიშვილი

მოქალაქე ლეილა ნამაზოვის განცხადებით აღნიშნულ მისამართზე სასწავლო პროცესს თავდაპირველად ახორციელებდა პროფესიული კოლეჯი „ეტალონი“, რომელმაც 2016 წელს შეწყვიტა ფუნქციონირება, შემდეგ იგივე მისამართზე ხელშეკრულება გააფორმა საზოგადოებრივმა კოლეჯმა "ოლიმპი", სადაც ავტორიზაციის მიღებამდე ხორციელდებოდა სტუდენტების საბუთების მიღება და გარკვეული სწავლება. აღნიშნულმა კოლეჯმა ვერ გაიარა ავტორიზაცია და იქ ჩარიცხული სტუდენტების გადაყვანა მოხდა საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში 2017 წლის თებერვალში. დათვალიერებულ იქნა სტუდენტების განცხადებები (სულ 78 განცხადება), რომლებიც დაწერილია საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის სახელზე, მოთხოვნით რომ აღნიშნულ პიროვნებებს დაერთოთ სწავლის გაგრძელების უფლება (განცხადებებში მითითებულია სასურველი პროგრამა და საფეხური. იხ. დანართი 6). ლეილა ნამაზოვმა ვიზიტის დროს წარმოადგინა იმ პროფესიული სტუდენტების სია, რომლებიც მისი განცხადებით 2017 წლის თებერვალში გადავიდნენ საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში.(იხ.დანართი 7)

ექსპერტები გაესაუბრნენ [redacted] და [redacted] რომლებიც ვიზიტის დროს მოვიდნენ დაწესებულებაში. აღნიშნული პირები მოხსენიებულნი არიან ლეილა ნამაზოვის მიერ წარმოდგენილ საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის 2016-17 წლის სტუდენტების სიაში. (იხ.დანართი 7) ექსპერტებმა ქალბატონ ლეილა ნამაზოვს სთხოვეს რომ მას არ ესაუბრა სტუდენტებთან აზერბაიჯანულ ენაზე, თუმცა მათ შორის მაინც შედგა აზერბაიჯანულად საუბარი. აღსანიშნავია, რომ ერთი მათგანი ვერ საუბრობდა ქართულ ენაზე და მეორე უწევდა თარჯიმნობას აზერბაიჯანულ ენაზე. გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი სწავლობდნენ საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში მედდის პროფესიაზე, ქ.მარნეულში ზემოაღნიშნული შენობის პირველ სართულზე მათ უტარდებოდათ სხვადასხვა საგნები, მათ შორის, ბიოლოგია და ბიოეთიკა. თუმცა, უკვე ერთი თვეა, მათ ლექციები უტარდებათ საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის შენობაში. ქ.თბილისში მათი ტრანსპორტირება ქ.მარნეულიდან ხდება სამარშრუტო ტაქსით. ვიზიტის მეორე დღეს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში მართლაც მოიყვანეს აზერბაიჯანულ ენაზე მოსაუბრე სტუდენტები, მათ შორის იყვნენ [redacted] და [redacted]

ქალ.ლეილა ნამაზოვის მიერ წარმოდგენილ სიაში აღნიშნული სახელი და გვარები მოიძებნა სტუდენტთა აღრიცხვის ჟურნალებშიც, რომლებიც დახარისხებული იყო სპეციალობების მიხედვით. სავარაუდოდ ეს იყო სხვადასხვა სასწავლო კურსებზე დასწრების აღრიცხვა (ჟურნალებში ბოლო აღრიცხვის ჩანაწერები შესრულებულია 2017

ავტორიზაციის ექსპერტთა მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ქეთევან ჯანელიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა მონიტორინგის ჯგუფის წევრი თამარ რემიშვილი

წლის 7 აპრილს. იხ. დანართი 8) ექსპერტების შეკითხვაზე, თუ სწავლება მიმდინარეობდა მხოლოდ მოსამზადებელ კურსებზე (ქალბატონმა ლეილა ნამაზოვმა დასაწყისში განგვიმარტა რომ მარნეულში მხოლოდ ქართული ენის, ინგლისურის და კომპიუტერის კურსები ხორციელდებოდა) რატომ იყო სტუდენტების სია სხვადასხვა სპეციალობების და საგნების მიხედვით დაყოფილი, გვიპასუხა, რომ ასე სპეციალობების და სასწავლო კურსების მიხედვით მოსახერხებელი იყო რომ მერე არ არეოდათ ვის რა სპეციალობაზე უნდოდა სწავლის გაგრძელება (იხ დანართი 8).

ქალბატონი ლეილა ნამაზოვის მიერ წარმოდგენილ სიაში აღნიშნულ სტუდენტთა პირადი საქმეები სპეციალობების მიხედვით სხვადასხვა ბაინდერში იყო დახარისხებული. პირად საქმეებში იდო ასევე გადახდის ქვითრები (საზოგადოებრივი კოლეჯი "ოლიმპის" მარტივი ბლანკი ბეჭდის გარეშე) ქალბატონმა ნამაზოვამ განგვიცხადა რომ ხელზე იღებდა სწავლის საფასურს და შეჰქონდა ბანკში და ქვითრებს ამლევდა მშობლებს (იხ. დანართი 9). აღსანიშნავია, რომ იმ პიროვნებების პირად საქმეში, რომლებიც ირიცხებიან ქალ. ლეილა ნამაზოვის წარმოდგენილ ზემოაღნიშნულ სიაში, დევს 2017 წლის მაისის თვეში კოლეჯ "ოლიმპის" ბლანკზე სწავლის საფასურის გადახდის ქვითრები, რაზეც ქალ. ლეილამ განგვიცხადა რომ მაისში უკვე იხდიდნენ საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში თუმცა იყენებდნენ ძველ ქვითრებს. თანხას იღებდა ხელზე და საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის პროკრედიტის ანგარიშზე რიცხავდა. ბანკში აღნიშნული თანხის შეტანის ქვითრები მას არა აქვს.

ექსპერტები დაინტერესდნენ, თუ ვის ეკუთვნოდა ფართი, სადაც საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ დანიშნული საკონსულტაციო ცენტრის დირექტორი ლეილა ნამაზოვი იმყოფებოდა, რაზეც ქალ.ლეილა ნამაზოვმა აღნიშნა რომ ეს იყო კოლეჯი ოლიმპის ფართი. არ იცოდა მეპატრონის ვინაობა, იცოდა მხოლოდ სახელი, ვინმე [redacted] ექსპერტებმა შენობაში არსებული სხვა მოიჯარის დახმარებით მოახერხეს სატელეფონო კომუნიკაცია მოქალაქე [redacted] რომელმაც სატელეფონო საუბარში აღნიშნა, რომ ფართი არის ს.ს. "იმედის" კუთვნილება (ს.კ. [redacted]) პირველი სართული მიქირავებული ჰქონდა ოლიმპზე, ხოლო მეორე სართული საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯზე, დაასახელა კოლეჯის დირექტორიც და აღნიშნა, რომ საღამოს პროგრამა ვაიბერის საშუალებით გადმოაგზავნიდა ხელშეკრულების ასლებს. (საუბარი შედგა 13:50 წუთზე) საღამოს განმეორებით სატელეფონო საუბარში კი ბატ. [redacted] განაცხადა, რომ არ ახსოვს ვისთან აქვს ხელშეკრულება და საერთოდ მაისიდან აპირებს რომ ხელშეკრულებები

ავტორიზაციის ექსპერტთა მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ქეთევან ჯანელიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა მონიტორინგის ჯგუფის წევრი თამარ რემიშვილი

გააუქმოს სუყველას, რადგან ცუდად იხდიან (საღამოს საუბარი შედგა18:58). ასევე აღნიშნა, რომ არ შეუძლია ხელშეკრულებების გადმოგზავნა რადგან არ არის ქალაქში. საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯთან საჯარო რეესტრის ბაზაში ამ ფართის ფლობასთან დაკავშირებული ხელშეკრულება არ მოიძებნა.

ქალბატონი ლეილა ნამაზოვის განცხადებით პირველ სართულზე ტარდებოდა მხოლოდ მოკლევადიანი ქართული ენის კურსები, ხოლო საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის სასწავლო პროცესი ხორციელდებოდა ქ. მარნეულში ზემოაღნიშნული შენობის მეორე სართულზე (იხ. დანართი 10).

ვიზიტის მეორე დღეს ექსპერტთა ჯგუფი გამოცხადდა ქ.თბილისში შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში. ვიზიტის დღის წესრიგით დაგეგმილი იყო ზემოაღნიშნულ წერილში მოყვანილი ფაქტების გადამოწმება (გასაუბრება, საჭიროების შემთხვევაში დოკუმენტების შემოწმება და ფაქტების დოკუმენტირება),ემისის ელექტრონულ ბაზაში შეყვანილი ინფორმაციის სისწორისა და სისრულის დადგენა.

ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორს მარიამ მესხიშვილ-ეფაძეს (შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ სასწავლებლის იურისტი ლ.თვარაძე და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ნ.ბარათელი) წარუდგინეს მოქალაქე ლეილა ნამაზოვის მიერ წარმოდგენილი სტუდენტების სია და სთხოვეს მოეწოდებინათ ინფორმაცია, იყვნენ თუ არა ისინი შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის სტუდენტები. დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მონიტორინგის ჯგუფთან ითანამშრომლებდნენ მხოლოდ ზემოთ აღნიშნული N 314 ბრძანების მეორე მუხლში მითითებული წერილის წარმოდგენის შემდეგ. ექსპერტებმა განუმარტეს რომ მათ კანონმდებლობით დადგენილი წესით შეეძლოთ აღნიშნული წერილი ოფიციალურად გამოეთხოვათ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან. კოლეჯის წარმომადგენლებმა ექსპერტების სახელზე შეადგინეს წერილი, რომლის თანახმად ითანამშრომლებდნენ მხოლოდ 2017 წლის 11 აპრილის # [redacted] წერილის გაცნობის შემდეგ.(იხ.დანართი 11)

განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით

თანდართული დოკუმენტაცია სულ 85 გვერდად:

დანართი 1- ქ. მარნეული,მაისის მოედანი, გოგებაშვილის 1. შენობის ფასადის ფოტო

ავტორიზაციის ექსპერტთა მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ქეთევან ჯანელიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა მონიტორინგის ჯგუფის წევრი თამარ რემიშვილი

დანართი 2-აუდიტორიაში გაკრული თვალსაჩნოებები

დანართი 3-ქ. მარნეული,მაისის მოედანი, გოგებაშვილის 1. შენობის მეორე სართულის ოთახების ნუმერაცია და აბრები;

დანართი 4-საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ხელშეკრულება ლეილა ნამაზოვთან;

დანართი 5-ლეილა ნამაზოვის პირადობის მოწმობის ასლი;

დანართი 6-განცხადებები სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებით;

დანართი 7-ლეილა ნამაზოვის მიერ წარმოდგენილი სტუდენტების სია;

დანართი 8-აღრიცხვის ჟურნალები;

დანართი 9-სტუდენტთა პირადი საქმეები, გადახდის ქვითრები;

დანართი 10-ლეილა ნამაზოვთან გასაუბრების აქტი;

დანართი 11- საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორისა და იურისტის წერილი;

შევსების ადგილი **ქ.თბილისი**

თარიღი **30.05.2107**

ავტორიზაციის ექსპერტთა მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ქეთევან ჯანელიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა მონიტორინგის ჯგუფის წევრი თამარ რემიშვილი